ხელშეკრულება №25
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი „9“ თებერვალი, 2016 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება შემდგომში - „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის - ნატალია ზაქარეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „თეგეტა მოტორსი“** შემდგომში - „მიმწოდებელი”, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის (მინდობილობა N0012, გაც: 01.04.2016 წელს) ბათუმის ფილიალის დირექტორის **თორნიკე თუთარაშვილის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 გვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში -„ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მომწოდებლის“ მიერ „შემსყიდველისათვის“ მის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის (**Volkswagen Jetta;** სახელმწიფო ნომრით RHR-121) **ძრავის ზეთის, ტრანსმისიის ზეთის, ჰიდრავლიკური ზეთის და სამუხრუჭე** სითხის შესყიდვა (**CPV-09200000**; **09211100; 09211400; 09211610; 09211650;**) (შემდგომში - საქონელი).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **600** (ექვსასი) ლარს.

3.2. ძრავის ზეთის ღირებულება მოიცავს მისი შეცვლის ღირებულების.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების წარმოდგენისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდება მოხდება შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ხელვაჩაური, ადლია.

6.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და საქონლის ხარისხის ინსპექტირება.

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც დადგენილია ხელშეკრულებით.

გ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ნებისმიერი თანმდევი მომსახურების ჩათვლით.

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლი იქნება ხარისხიანი და უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი.
9.2. ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

10. სტანდარტები

10.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში მითითებულ სტანდარტებს.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.
11.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებულია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
12.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 12.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვადებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე

მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 1 თებერვლამდე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“ მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ N25 საიდენტიფიკაცო კოდი: 445393510	შპს „თეგეტა მოტორსი“ მის : ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N5 საიდენტიფიკაცო კოდი: 202 177 205 სს ,,თი ბი სი ბანკი'' ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ნ: GE80TB 06 00000 244 678 53
საბავშვო ბაღების გაერთიანების	ბათუმის ფილიალის
დირექტორი	დირექტორი
ნატალია ზაქარეიშვილი	თორნიკე თუთარაშვილი